მოტივაცია

მოგახსენებთ რომ ჩემს მიერ სატელევიზიო სფეროში გატარებულმა ათეულობით წლებმა გადამაწყვეტინა მონაწილეობა მიმეღო, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში.

1990 წელს 25 წლის ასაკში დავიწყე მუშაობა სახელმწიფო ტელელერადიოკომიტეტის ახალგაზრდულ რედაქციაში შტატგარეშე კორესპონდენტად. 1992 წლიდან გადავედი ტელეკომპანია „მეორე არხზე", ჯერ რედაქტორად, შემდეგ კი დავინიშნე ამავე არხის სარეკლამო განყოფილების ხელმძღვანელად და არხის სამხატვრო საბჭოს წევრად.

1996 წლიდან 2001 წლის ჩათვლით ვიყავი სატელევიზიო-სარეკლამო სტუდია „ფორტუნას" დამფუძნებელი და დირექტორი.

2002-2009 წლებში ვმუშაობდი ტელეკომპანია „იმედში" პროგრამების დირექციის დირექტორად. ჩემს კომპეტენციაში ასევე შემოდიოდა ტელეპროდუქციის წარმოება და სასერიალო წარმოებაზე კონტროლი. ამასთანავე ვიყავი ამავე ტელეკომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი და ვმონაწილეობდი ყველა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

2015 წელს გავხდი ტელეკომპანია „1 გასართობის „ დირექტორი. იმის გამო, რომ დამფუძნებლებმა უარი თქვეს წინასწარი მოლაპარაკებების დროს დამტკიცებულ ჩემს მიერ შეთავაზებულ კონცეფციაზე საკუთარი სურვილით დავტოვე თანამდებობა.

„მეორე არხი" და „იმედი''ეთერში გასვლიდან 3 წლის თავზე რეიტინგების მიხედვით წამყვან ტელეკომპანიებად იქცნენ. ვიყავი რა ორივე ტელეკომპანიის მმართველი გუნდის წევრი მიმაჩნია. რომ ჩემი მოკრძლებული წვლილი შევიტანე ამ წარმატებაში.

რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებელს,უკანასკნელი რეიტინგების მიხედვით ის იკავებს 5-6 ადგილს საქართველოში არსებულ მაუწყებლებს შორის. მიმაჩნია, რომ შესაძლებელია არსებული, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ასევე ადამიანური რესურსის უფრო ეფექტურად გამოყენება.

როგორც აღვნიშნე, სხვადასხვა პერიოდში ტელეკომპანიის საქმიანობის სამ საკვანძო მიმართულებას (სარეკლამო საქმიანობა, პროგრამები, ტელეწარმოება) ვუძღვებოდი. დაგროვილი ცოდნიდან და მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, მაქვს ჩამოყალიბებული ხედვა და განვითარების კონცეფცია, რომლის განხორციელების შემთხვევაში „საზოგადოებრივ მაუწყებელი'' დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს, დაამკვიდრებს ტელეგემოვნების მაღალ სტანდარტებს და დაიკავებს წამყვან ადგილს არსებულ ტელესივრცეში.